№ 21 23 თებერვალი, ოთხშაბათი 1866—1877 23 თებერვალი, ოთხშაბათი № 21

რედაქცია
განოვის ქუჩაზე, სტ. მელიქოვის და ამხ. სტამბაში, აბატუნის სახლებში. —
ხელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ контору редакціи газеты „Дроэба“, при типографіи Меликова. —
გაზეთის ფასი
წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, ფრანგულს, ებრაულს და ცუზულს ენებზე. —
განცხადების ფასი
დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქონზე — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ. —
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ხელის-მოწერა 1877 წლისა

მეთორმეტე წელიწადი გაზეთის არსებობისა

მომავალ 1877 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც წარსულს წლებში გამოდიოდა.

მომავალი წლიდამ „დროების“ რედაქციის შრომაში უფრო დაახლოებულ მონაწილეობასა და შრომას მიიღებს ორი ჩვენი ნიჭიერი მწერალი-პუბლიცისტი: აკაკი წერეთელი და ნიკ. ნიკოლაძე.

ამათი და აგრეთვე სხვა თანამშრომლების დახმარებით, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ, რამდენათაც რედაქციისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მოგვცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, სასარგებლო და საჭირო გავხადოთ ჩვენი გაზეთი მკითხველი საზოგადოებისათვის.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (განოვის ქუჩაზე, აბატუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა თაეიანთი მოთხოვნილება ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: *Въ Тифлисѣ, въ Типографію Меликова.*

სხვა ქალაქებში „დროებაზე“ ხელის-მოწერა შემდეგ პირებთან შეიძლება:

ჟუთაისში — სვ. მესხთან (სილაზე), ფოთში — თ. ანტ. ლაზ. ნაკაშიძესთან და მლ. ბაბალოეთან, ახალ-სენაკს — ნიკ. დგებუაძესთან, ზუგდიდს — თ. ტარ. ალექ. დადიანთან, ოზურგეთს — ანტ. ჯაყელთან, ყვირილაში — მ. დავ. ღამბაშიძესთან, გორს — აღალო თუთაევთან, ახალციხეს იოსებ სულხანოეთან და თელავს — თ. ლევან ჯანდიერთან.

	მან.	კაპ.
გაზეთის ფასი — გაგზავნით და გაუგზავნელად		
წელიწადში	8	„
ნახევარ წელიწადში	4	და 50
სამის თვისა	2	და 50
ერთის თვისა	1	— „

ამჟამად საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება გარდა იმ პირებისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების“ აგენტები იკისრებენ.

ვთხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მომწერლებს, რომ თავიანთი მოთხოვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი ადრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით იყოს დაწერილი და ყოველთვის, როცა ადრესს გამოიცვლიან, დროზე შეატყობინონ ეს რედაქციას.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი
რედაქტორი ს. მესხი.

ცალკე ნომრები „დროებისა“ იყიდება:

ვართანოვის წიგნის მაღაზიაში (პუშკის ბიდზე, მირზოევის შენობაში)
გრიბჟუროვის წიგნის მაღაზიაში (პუშკის ბიდთან, ზუბალოვის სახლში)
„კარდანახის“ სარდაფში (სასახლის ქუჩაზე, აბრუნის ქარვასლაში)
„სულთანის“ თამბაქოს მაღაზიაში (სუდის ქვეშ)
პარიკმახერ პიერთან (პროსპექტზე)
გრიგოლოვის მაღაზიაში („კავკაზის“ სასტ. ქვეშ, მირზოევის სახლებში

ფასი თითო ნომრისა — 5 კაპეიკი

საქართველო

ერთგულ პედაგოგებს

თფილისის გაზეთების მეტი რომ სულ არა წაეკითხათ-რა ჩვენ პედაგოგებს, მაინც უნდა დარწმუნებულიყვნენ იმ ჰაზრში, რომ ყმაწვილს პირველ-დაწყებითი სწავლა თავის მშობლიურს ენაზედ უნდა გადაეცეს; არც ერთი გამოჩენილი პედაგოგის თხზულება რომ არ გაეცნოთ იმათ, მარტო ჩვენი პერიოდული ლიტერატურა ეყოფოდათ იმის გასაგებად, რომ უცხო ენაზე სწავლის დაწყება ახალ-მოსწავლე ყმაწვილს რაც გონებას არ დაუჩლუნგავს და დაბრკოლებას არ მისცემს განათლების გზაზედ წინ-სვლაში, სხვა სიკეთეს ითქმის სრულიად ვერას მოუტანს.

მაგრამ რას ვამბობთ? ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენებურ პედაგოგებს ეს ჭმარიტება, ჩვენზე უკეთ თუ არა, ნაკლებად მაინც არა აქვთ გაგებული; იმათ ძალიან კარგათ იციან, რომ ეს პედაგოგიური, დაურღეველი ჭეშმარიტებაა, რომ, არათუ ყმაწვილს, დიდსაც თუ რასმე უხსნი და ასწავლი, ადვილად გასაგებს, მშობლიურს ენით უნდა აუხსნა და გააგებინო.

მაშ რად იქცევიან, რად მოქმედობენ ამ რწმუნების წინააღმდეგ ეს ჩვენი პედაგოგები?..... რომელი გონიერი პედაგოგიური მოთხოვნილება უნდა დაეკმაყოფილონ?...

. . . . . რა ჰაზრით უხელმძღვანელებია ახლად დანიშნულ ინსპექტორს ქავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების სკოლებისას უფ. ლიახოვს, როდესაც ამ ახლო ხანში, როგორც ნამდვილად გვწერენ, „თიონეთის სკოლების მასწავლებლებისათვის ქართული წიგნების გზავნა ამოუკვეთია?“. . .

. . . . . .

უმაღლესს ჩვენ მთავრობას არასოდეს და არსად არ გამოუთქვამს ის ჰაზრი, რომ უცხო თემის ყმაწვილმა მაინცა-და მაინც რუსულს ენაზედ უნდა დაიწყოს სწავლაო. მთავრობის ჰაზრი, და არავინ არ იტყვის, რომ ეს ჰაზრი გონიერი არ იყოს, ის არის, რომ ყოველ რუსეთის ქვეშევრდომმა რუსული ენა იცოდეს, რომ ამისა-

ფელტონი

ნანდვილი სცენა

(ქვირა დღეს დუქან წინ ხალხი არის შეყრილი და ლაპარაკობენ ჩვეულებისამებრ კარგს ამინდებზედ, ახალ მოსავალზედ და ალების ღამეზედ; ამ დროს მოდის მოხუცებული გლეხი და ეუბნება:)

მოხუცებული გლეხი. გამარჯვება ჯამაათს!

რავდენიმე პირი (ერთის ხმით). მობძანდი, აბდომელ... მოდი ერთი გვიამბე შენი სიზმარი: საიქიოს როგორ იყავი, როგორ იყო? (იცინიან).

აბდომელა. თქვენ გაიცინეთ, შვილოს, და ვნახოთ თუ სუყველაფერი იგრე არ იყოს, როგორც მე ვნახე.

ღვთისიაშვილი. მამა გიცხოვნდა, აბდომელ, გვიამბე რა ჰნახე?

აბდ. რა ვნახე და ისა ვნახე, რომ ძალიან ვიყავ ავათ და მოვკვდი.— ჩემ დედაკაცს საფლავიც გეემზადებინა წისქვილში და თურმე კუბოსაც აკეთებინებს;—ის კი არ იცოდა, რომ მე ჭრიჭტეთან ლაპარაკში ვიყავი.

ღვთ. რას ამობ, კაცო, თუ მოჰკვდი—როგორღა ჰლაპარაკობდი?

აბდ. შენც არა გცოდნია-რა! დიდი ღვდლისაგან მაინც არ გაგიგონია, რომ მარტო ხორცი კვდებაო და სული კიდეც ილაპარაკებს და ყველაფერი შეუძლიანო!

ღვთ. მაშ შენ ასე ამოფ, რო დღეს რო იქა ჰყოფილიყავ, მლაშე თევზით იქაც ყველიერის ალებ-ღამეს დაიყენებდი, რაღა... მაგრამ ეს ჩვენი მედუქნე რო იქ არ იქნება და თევზს ვინ მოქცემდა ნისიათ?

აბდ. იქ ისეთი მედუქნეები არიან, რო ჯაზარას ხელის დასაბანათაც არ იკადრებენ?

ღვთ. მაშ დუქნებიც იქაური ემჯობინება?

აბდ. ეჰ, შვილო, თქვენ მასხარათ მიგდებთ და რაღა გიამბოთ..

რავდენიმე ხმა. თქვი, თქვი, ვის აჰყოლიხარ!

აბდ. ახლა წამიყვაინეს ვიღაცეებმა და ვინ მოჰთვლის რამდენი მინდერები გამატარეს. აქეთ გავიხედე—ახალი ჯეჯილია, იქით გავიხედე—ქერია, შავხედე — შამოსული ყანაა, პატარა გავცილდი კიდევა და ბრინჯია მოსამკალი. ვიკითხე: ვისია-მეთქი და ასე მითხრეს: იქ ვისაც წანდილს უკეთებენ, აქ ჯეჯილათ ამოდისო. მემრე ბრინჯისა ვიკითხე და მითხრეს — ესეც თავადების წანდილისა არისო, ისინი ბრინჯის კოლიოს უკეთებენ თავიანთ მიცვალებულებსაო, მაგრამ ეს კი მომატყუეს მგონია. ის უთუოთ თათრებისა უნდა ყოფილიყო, ამიტომ რომ მეველთ ერთი ზორბა მაღალ-მაღალი თათარი ედგა ჩობახით.

ღვთ. თათრებიც არიან იქა? აკი ამობენ, თათარი არა ცხონდებაო?

აბდ. თავის რჯულზე ყველა ცხონდება, თათარი რაღა არი, განა იმათ კი არა ჰწამთ ღმერთი!

ღვთ. იმათ თუ ღმერთი ჰწამდეთ, ამდენი ქრისტიანებს კი არ გაჰკარცვამდნენ და არ დაჰხოცამდნენ. ერთხელ არ იყო მათეს შვილი გაცარცვეს!

აბდ. ახლა რა არის რო; თუ კი იმათ მახმადას ისე დაუწერია ყორანში. . . . . .

ხალხი. აჰ დიდება შენთვის, ღმერთო! ე კაცი უთუოთ მართალს ამობს.

ღვთ. (ხალხს). დაიცათ, ბიჭო, დაიცალეთ.

თვის რუსეთის ყველა შკოლებში რუსული ენის სწავლას შესამჩნევი ყურადღება ჰქონდეს მიქცეული.

ჩვენი პედაგოგები კი, როგორც ეს ერთგვარ არსებათ ჩვეულებაა, ცდილობენ ამ მმართებლობის ჰაზრსა და მოთხოვნილობას გადააჭარბონ,—ეითომ რა — მომეტებული ერთგულება და სამსახური დაუმტკიცონ ამ მმართებლობას.

მხოლოთ ამ ზოგიერთ პირებისაგან მმართებლობის განზრახვის ცუდათ გაგების წყალობით, ჩვენს ახალგაზდობას ამდენი ზიანი და დაბრკოლება ეძლევა სწავლის დაწყებისათანავე! რის მოსწრებაც, რის შესწავლაც ყმაწვილებს ორ-სამ წელიწადს ადვილად შეეძლოთ, ნამდვილ პედაგოგიურ წესით რო ესწავლებინათ იმათთვის, იმას ხუთ-ექვს წელიწადს უნდებიან და ამ გრძელი ხნის განმავლობაშიაც ვერას ასწრობენ. და ყველა ეს ხდება იმისაგან, რომ ჩვენი სახალხო შკოლებისა და საზოგადოთ პირველ-დაწყებით სწავლის საქმე ისეთი პირების ხელშია, რომელნიც ყველაზე პირველად თავიანთ კარიერას უყურებენ და არა გონიერულ პედაგოგიურ მოთხოვნილებას..

ს. მ.

დღიური.

*** დღეანდელ ნომერში წაიკითხავთ ჩვენი ქალაქის ბამგეობის განცხადებას, რომ მაწანწალა ძაღლები უნდა დახოცონ და ეს ამათი დახოცვა მსურველს იჯარით შეუძლიან აიღოსო. დიდი ხანია რიგი იყო, რომ ქალაქის ბამგეობას ეს განკარგულება მოეხდინა, რადგან იმდენი უპატრონო და მაწანწალა ძაღლები, რამდენიც თფილისშია, არცერთ სხვა ქალაქში არ ნახულა. უხაროდესთ განსაკუთრებით სოლოლაკელებსა და ავლაბრელებს, რადგან ამ ორს უბანში ძაღლებს თითქო თავიანთი სამეფო გაუმართავთ და ღამე იმათგან მოსვენება არ არის.

*** დასავლეთ საქართველოდამ წყალდიდობას იწერებიან; თბილი ტაროსები არისო, თოვლი დნება მთებში და ამის გამო მომეტებული ნაწილი მდინარეები ადიდებულა, და ზოგან ზოთი-თფილისის რკინის გზაც გაუფუჭებია.

ზოთში კი ისეთნაირად გადიდებულა რიონი, რომ ქალაქიდამ ვაკაზალში ნავით გადასვლა გაძნელდაო; ამ დღეებში კამისიონერებს გადაჰქონდათ თურმე ვაგზალში საქონელი პორომით; პოროში გადაბრუნებულა და დაღუპულა საქონლით, და ერთი ფრანცუზიც დამჩვალა უფ. ბერტელსი.

*** სიღნაღიდამ გვწერენ, რომ ერთს იქაურ მომრიგებელ სასამართლოში მოსამსახურე პირს გადაუთარგმნია ქართულად „20 ნოემბრის 1864 წლის სასამართლო წესდება“ (Судебные Уставы) და თუ რამ ღონის-ძიება ნახა, დაბეჭდვას და გამოცემას აპირებსო.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს გამოცემა ძლიერ სასარგებლო და თითქმის აუცილებელად საჭირო გამოცემა იქნება და ბევრიც გასაღდება ჩვენში. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ყველა მოქალაქე ვალდებულიაო, რომ თავის სახელმწიფოს კანონები იცოდესო; კეთილი, მაგრამ საიდამ უნდა იცოდეს კანონი მრავალ ქართველმა, სომეხმა, თათარმა, მთიულმა, რომელთაც თავის მშობლიურ ენის გარდა არცერთი სხვა ენა არ იციან, და კანონები კი მარტო რუსულს ენაზე იბეჭდება ჩვენში?

*** ჩვენ მივიღეთ შემდეგი წიგნი სიღნაღიდამ:

„ჩვენი ხალხი, სოფლის ხალხი, ძრიელ მადრიელია ახალი მომრიგებელ მოსამართლისა და უეზდის უფროსისა. ეს ორი მფლობელობის ფაქტორი იყო უმთავრესი მიზეზი შიზიყის დაცემისა. სუდის ჩინოვნიკება აქ ყველაზედ სინიდისიანათ იქცევა, ახალი სინიდისიან მოსამართლის წყალობით, თორემ ამას წინათაც იყო აქ მოსამართლე.... მაზრის უფროსს კი ვერ მოუსპია ზოგიერთი ჩვეულება აქაური ჩინოვნიკობისა „მღვრიე წყალში“ თევზისჭერა.

„წმინდა მართალი ყოფილა, რაც ამ ცოტა ხანში ზოგიერთი აქაურ ჩინოვნიკებზედ იყო მოხსენებული „დროებაში“: ქრთამები ამათი ხელობა ყოფილა, თორემ ერთიც არის ხმას არ ამოიღებდნენ? მასთან უეზდის უფროსიც ჩაჩუმებულია,—თუმცა კორრესპონდენციამ აქ თავ-პირის მტვრევაც მოახდინა.“

ქუთაისის ქალაქის რჩევა

სხდომა ამ წლის 22 იანვრისა

ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელმა მოახსენა რჩევას უფ. ღუბერნატორის წინადადება შესახებ მილიციონერების მოკრებისა; მოწერილობა მიეღეთო, რომ ყოველ 100 კომლზე ქალაქიდამ ორი მილიციონერი გამოგვეყვანაო. ამ წინადადების აღსრულებაში მოსაყვანად, ქალაქის საზოგადოება იყო მოწვეული, რომელმანც თავის შორის ორმოცი კაცი მოკრიბაო და ამასთანავე ამ მილიციონერებისათვის ხარჯი გაანაწილა ქალაქის ყველა მცხოვრებლებზედაო.

ქალაქის რჩევამ დაამტკიცა ყველა ამ საგნის შესახებ განკარგულება უფ. ქალაქის თავის მოადგილესი.

ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელმა მოახსენა რჩევას უ. ღუბერნატორის წინადადება, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ჭუთაისის პოლიციას საშუალება მოემატოსო; ქალაქის გზირებისა და ცეცხლის საქრობ კამანდისათვის ფულის მომატება არის საჭიროო.

ქალაქის რჩევამ გადაწყვიტა, რომ სასურველიცაა და სასარგებლოცო, რომ პოლიციას საშუალება მოემატოსო, მაგრამ, სამწუხაროთ, ქალაქს ამისათვის ღონის-ძიება არა აქვსო; ამის გამო რჩევა აცხადებს სურვილს უფ. ღუბერნატორმა იშუამდგომლოს იმის მაგიერ ქავკასიის ნამესტნიკთან, რომ ამ საჭიროების დასაკმაყოფილებელად სხვა წყაროებიდამ მიეცეს პოლიციას საშუალება.

ამავე სხდომაზე რჩევამ განიხილა ქალაქის შემოსავალ-გასავლის ანგარიში 1877 წლისა და მიიღო და დაამტკიცა კიდეც ბამგეობისაგან წარდგენილი ბიუჯეტი მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ხარჯის ამკრებლებისათვის 1,200 მანეთის მაგიერად დანიშნეს 800 მანეთი.

რჩევამ მიანდო ბამგეობას წარმოედგინა თავის ჰაზრი იმაზე—თუ რა საშუალებით უნდა შეაკეთონ ქალაქის ქუჩები: ქალაქის საზოგადო ხარჯით, თუ სახლის პატრონებისაგან ცალკე მოკრებილი ფულებით.

ამას გარდა რჩევამ მიიღო მხედველობაში, რომ ამ წელს ქალაქის გასავალი ათი-ათასი მანეთით გარდაემეტება შემოსავალს და ამის გამო გადაწყვიტა უ. ღუბერნატორს სთხოვონ სადაც ჯერ არს, იშუამდგომლოს, რომ ქალაქს შემწეობა მიეცეს, როგორც ქვარიტაში ფული გადაიხადოს.

„დროების“ კორრესპონდენცია

საბარეჯოდგან, თებერვლის 11-ს. უფ. რედაქტორო, უმორჩილესათ გთხოვთ ამ მცირედს კორრესპონდენციას ადგილი მისცეთ თქვენ პატივცემულ გაზეთში, რადგანამ კორრესპონდენციით მკითხველებს შეუძლიანთ ცხადათ დაინახონ უსაჭიროესი მოთხოვნილება ბანკებთანვე დეპოების გახსნისა.

30 იანვარს ივრის ბამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობა შეიყარა წლიური ანგარიშის განსახილველად და სხვა და სხვა კითხვების მოსასმენელად. ყრილობამ განიხილა წლიური ანგარიში. აღმოჩნდა, რომ ივრის ბანკს თავისი მოქმედება გვარიანად წაეყვანა.

ამის შემდეგ ყრილობის თავსმჯდომარემ უ. სფ. ჯაბადარმა შეიტანა წინადადებანი

„ა) რომ ვსთხოვოთ ფინანსთ მინისტერს ზოგიერთი ჩვენის წესდების მუხლისშეცვლაო, მაგ. მმართველობას წესდება ნებას არ აძლევს უთავდებოდ ფული მიასესხოს, რომელსაც საწილო ფული ცოტა აქვს. წესდების ძალით ყველა ამხანაგს შეუძლიან გაიტანოს ერთ ნახევარი თავის წილის დაკვალებით, რომელსაც უმეტეს ნაწილს ამხანაგობისას საწილო ფული ცოტა აქვთ შემოტანილი და უმეტესად ისინი საჭიროებენ ხოლმე ფულში ხარჯის გადასახდელად. ასეთი ამხანაგები თავდებებს ვერ შოულობენ და უკეთუ იშოვიან, უსათუოდ სასყიდლით. ამიტომ ყველა ჩვენ წევრს უჭირდებოდა ბანკიდგან ფულის სესხება. თუმცა ეს სექტემბრის ყრილობაშივე დავამტკიცეთ და მოქმედებაშიაც შევიყვანეთ ჩვენი გარდაწყვეტილობა, რის გამოც ყველა ამხანაგს მიეცა ღონისძიება დაუბრკოლებლივ ფულის სესხებისა, მაგრამ ესევე დამტკიცება უნდა ვთხოვოთ მინისტრს ამ ნაირად: ერთი-ერთმანეთში ამხანაგების თავდებობით, ყველა ამხანაგს შეეძლოს უთავდებოდ ფულის გატანა ერთი მანეთიდგან ორ თუმნამდინ, თუნდ სრული წილის ფული არა ჰქონდეს:

ად. მოვდივარ და ფეხები კი უკანა მრჩება. როგორც მიველი საჰწორთანა და მიბრძანა ეს: „რო მიჰდიხარ, რით მიჰდიხარო? ვინ დაგიჯერებს, რო აქ იყავიო? აი ნიშნათ ეს გეყოფაო.“ აიღო და მკლავზედ ერთი ბეჭედი დამკრა და ჯვარი გამომისახა. აი, თუ არა გჯერათ. (ბადაიწია პერანგის სახელი და მართლად რაღაც სჩანდა ჯვარის სახეთ, რომელიც უფრო ნამუწუკარს ჰგვანდა).

ბურნაძე (ადომელას): ე ხალხს ნუ ატყუებ. შარშანწინ რო მუწუკები გეყარა მკლავზე, ეგ იმისი ნიშანი გეტყობა.

ად. (ბურნაძეს) შენ მაგრე გგონია. მუწუკები კი არა; ახლა ეგ მაიგონე!

(ამ მკლავის ნახვაზედ ხალხი გაჰკვირდა და ერთმა წამოიძახა: „იმდე შვილო, თუ ტყუილი იყო!)

ად. (რომელსაც ესიამოვნა ეს უკანასკნელი სიტყვები). ტყუილს როგორ ვიტყვი ამ დროულა კაცი!

ღვთ. ახლა რო წამოხველ, რა პირობით წამოხველ? როდის უნდა დაჰბრუნდე?

ად. ჯერ დიდი ვადა მაქვს. ასე მიბრძანეს, მინამ ასი წლისა არ გაჰხდები, აღარ მოგიკითხამო. რა დღესაც გაჰჩენილხარ, იმ დღეს მოჰკვდებიო.

ღვთ. ახლა იცი რა დღეს გაჩენილხარ?

ად. როგუ არ ვიცი, დედაჩემისაგან გამიგონია: ამიდაჰტურობის ღამესა ხარ გაჩენილიო და ამიდაჰტურობა აღდგომის ღამეს არ მოდის ხოლმე?

ბურნ. მაშ აღდგომის დღეს უნდა მოჰკვდე? შენი ცოლი ხო ფერხისაში ველარ ჩეებმება, ქორივით რო გაჰკივის ხოლმე.

ღვთ. (ბურნაძეს). ეგ ამობს ასი წელიწადი უნდა ვიცოცხლოთ და მაგის ცოლს მანამდინ ვინ დააყენებს აქა?

ად. ბევრი რამ ვნახე იქ, ბევრი რამ უწერიათ ოქროს ფიცარზე...

ბურნ. ღმერთი შენ აგაშენებს, ისე კი გადააბულბულებდი, რო..... რო კითხვა არ იცი, რას წაიკითხავდი?

ად. რა ვიცი, კაცო! მეც ის არ მიკვირს: აქ ანა-ბანასაც ვერ ვიცნობ და იქ კი ლამაზათ წავიკითხე მამაო-ჩვენოსავით.

ბურნ. მტყუანს რა უთხრა—არც მამაო-ჩვენო იცი.

ად. შე რას დაჰდევ, ჩემი საქმე კი ყველგან გაწალდულია და ჯერკი ეაჭარს არ მოუტყუებიარ ანგარიშშია და!

ბურნ. არა, შენმა სიცოცხლემ, შოშია-შვილმა კი არ აგიბა თვალები და ორ საპალნე ღვინოში ოცი თუმანი გადაგიწყვიტეს მიროწი სუდში.

ად. შენ ნუ გენაღვლება! იმ ოც თუმანს სუ ცხვირიდამ წაშოვადენ საიქიოს.

ბერნ. (ხალხს). ბიჭი ადომელა კი არა ყოფილა, თქვენა ჰყოფილხართ. ამ ერთმა კაცმა მაგოდენი ხალხი როგორ დაგაბრიყვათ! თქვე ოხრებო, რას უყრიხართ, ეს ხო დაღამდა! წადით, შვილო, თითო-ოროლა შაური ხერი მიეცით მედუქნეს, საყველიეროთ შაიტანეთ თქვენ ცოლშვილში; ხვალ მარხვა არის, განა კიდევ გვეჭმება. (ხალხი დაიშალა).

ა. შ.

„ბ) ვთხოვოთ ფინანსთ მინისტრს გა[ა]თავისუფლოს ჩვენი ბანკი გილდიის პოშლინიდგან, რადგანაც ბანკს არა აქვს ისეთი ვაჭრობა და ისეთი დიდი ჯამი, რო შეეძლოს მისი გადახდა;

გ) მმართველებს და რჩევის წევრებს ერთი წლით მიენდოთ ამხანაგების ამორჩევა და მიღება.“

ყრილობამ ამითი გაათავა თავისი საქმე; ამის შემდეგ წამოდგა მმართველობის წევრი უ. ა. ც. და დაიწყო:

„უფალნო, გთხოვთ ცოტაოდე ყურადღება ჩემკენაც იქონიოთ.

„იმის გარდა რომ ჩვენი ბანკი აძლევს ღონისძიებას ყველა თავის ამხანაგს ადვილად და იაფად იშოვოს ფული, ამ ბანკმა ჩვენ მოგვიტანა ერთი უმთავრესი სარგებლობა იმ მხრივაც, რო დღეს ჩვენ შევიყარენით ერთად შვიდი სოფლის საზოგადოებანი, ყველას გვაქვს ნება მოვიფიქროთ, გავსაჯოთ ყოველივე კეთილი და სასარგებლო საქმე ჩვენი საზოგადოებისთვის; დღეს ჩვენ შეგვიძლიან გაუზიაროთ ერთი-ერთმანეთს ჩვენ ჩვენი აზრები, რომელსაც აქამდინ მოკლებულნი ვიყავით.

„სხვათა შორის, მეც უნდა მოგახსენოთ, რომ ბანკის მოქმედება თუმცა გვარიანი იყო და მრავალნი გაჭირებულნი იმართავდნენ ხელსა გაჭირების დროს; მაგრამ ხალხი ახლაც დიდს შეწუხებაშია და შევიწროებაშია ვაჭრების მხრივ. უკეთუ ჩვენი ამხანაგობა ნამდვილ ვაჭრობას არ მიჰყოფს ხელს, მაშინ ჩვენი ბანკი იქნება მკვდარი. ხალხის უსაჭიროეს მოთხოვნილებას შეადგენს დაფუძნებადამზოგველ-მომხმარებელ ამხანაგებისა და რა არის ეს ამხანაგობა და რა წესდებით უნდა დაარსდეს—მე ამას მოკლეთ მოგახსენებთ და წესდებასაც წარმოგიდგენთ განსახილველად.

„მანამ ამ წესდებას წავიკითხავდეთ, მე მსურს მოკლეთ შეგატყობინოთ მიზანი დამზოგველ - მომხმარებელ ამხანაგობისა.

„თქვენ ყველანი დარწმუნებულნი ხართ, რო ყოველივე თქვენი ნაწარმოებელი გადადის ვაჭრების ხელში. როგორ და რა ფრად? ეს თქვენ თითონ იცით; პირველათვე თქვენი ნაწარმოებელი, თქვენი ვაი-ვაგლახით მოყვანილი და ნაშრომი ნივთი რამდენიმე ხნის შემდეგ გიბრუნდებათ ისევ თქვენ გადაკეთებული და იმასვე ყიდულობთ მამასისხლად. თქვენმა ნაწარმოებელმა უნდა გაიაროს და გამოიაროს რამდენიმე ვაჭრის ხელში, რომლებიც, რასაკვირველია, იღებენ იმდენ მოგებას, რომლითაც უნდა შეინახონ თავიანთ ცოლ-შვილი, მოსამსახურე ბიჭები სახლში და დუქანში, გადიხადოს ქირა დუქნებისა და სარგებელი ფულებისა.

„მაგალითად ავიღოთ თქვენი ნაწარმოებელი მატყლი. მოდის ვაჭარი და ყიდულობს თქვენგან ასის თუმნის მატყლს; რასაკვირველია, ეს ყველა ხარჯს გარდა მოგებას ინარჩუნებს ას თუმანს და ისე ჰყიდის ქალაქში სხვა ვაჭარზედ სამას თუმნად; ეს მეორე ვაჭარიც იგებს ას თუმანს და ჰყიდის მესამე ვაჭარზედ ოთხას თუმნად; მესამე ვაჭარი ამზადებს და გზავნის ფაბრიკაში, ესეც ყველა ხარჯს გამოდის, დაინარჩუნებს მოგებას ას თუმანს; მაშასადამე ამან უნდა გაყიდოს ექვსას თუმნად. ფაბრიკა ამზადებს სხვა და სხვა შალეულობას და მაუდეულობას, ამას უფრო დიდი ხარჯი აქვთ: ექვსასის თუმნის ნავაჭრისა უნდა გამოიყვანონ ათას ორასი თუმნის საქონელი. აქ კიდევ მოდის ვაჭარი და ერთბაშათ ყიდულობს ათას ორასი თუმნის საქონელს; მოაქვს ქალაქში, გზის ხარჯს ანგარიშობს, თავის ფულის სარგებელს, თავის მოცდენას და შემდეგ მოგებას, რომლითაც უნდა შეინახოს სახლობა; ეს ათას ორასი თუმნის საქონელს ბაზაზზედ ჰყიდის ათას რვაას თუმნად, ბაზაზი კიდევ ჰყიდის ორი-ათას თუმნად არშინობით, სადაც მიდიან ჩვენი გარყვნილი ურიები და ყიდულობენ. მოაქვთ ახლა ამათ, შეუკაზმამთ ცხენები, სხედან და დააქვთ ფარჩა. ესენიც თავიანთ მოცდენას, ცხენის ფულს, სარგებელს ანგარიშობენ და ჰყიდიან ორი ათას ხუთასი თუმნის ანგარიშზე არშინს.

„მაშასადამე ჩვენი ხელით ნაწარმოებელი, რომელიც ჩვენ გავყიდეთ ას თუმნად ისევ ჩვენვე ვყიდულობთ ორი-ათას-ხუთას თუმნად, მწარმოებლების და ფაბრიკანტების შუამავალთ ვაჭრების წყალობით. ამავე წესდებით და წყობილებით არის ყოველივე, რასაც ჩვენ ვხმაროობთ ცხოვრებაში და რომ ჩვენ გამოვიხსნათ თავი ამ ვაჭრებისაგან, უნდა გავხსნათ დამზოგველ-მომხმარებელი ამხანაგობა, რომლის მეორე მიზანი იქნება ის, რომ ყველა თავის წევრს მისცეს ღონის-ძიება მოიპოვოს უკეთესი ნივთეულობა იაფად და ყველას შეეძლოს თავისი ნაწარმოების გასაღება იმ მაზანდით, რა მაზანდაც ყოველ დროში ექნება ადგილას.“

ბევრმა ძრიელ სასიამოვნოდ მიიღო ეს აზრი და თვითონ აქაურმა ვაჭრებმაც, თუმცა ერთი ვაჭარი ყვირილით და მასხარაობით ცდილობდა ხალხის ყურადღება თავისკენ მიექცია; მაგრამ როდესაც დაინახა, რო მას ამხანაგი არავინ გამოუჩნდა, გამოვიდა გარეთ და იქიდან მასხარაობდა.

საზოგადო ყრილობამ შეადგინა განჩინება და წესდების დამტკიცების თხოვნა და დამტკიცების შემდეგ ყრილობის მოწვევა მიანდეს ა. ცხვედაძეს, სფრიდონ ჯაბადარს, ბიგო ბილანოვს, დიმიტრი ციციანოვს, მღვდელს იოანე ბედიევს და მღვ. ნიკოლოზ ბულისოვს, რომლებმაც წესდება და ყრილობის განჩინება უნდა წარუდგინონ და სთხოვონ უფალს უეზდის უფროსს, რომ მან იშუამავლოს უმაღლეს მთავრობასთან წესდების დამტკიცებაზე.

განჩინებაზედ ორმოც-და-ათმა ამხანაგმა ხელი მოაწერა; გამოაცხადეს ზომა წილებისა, ზოგმა ათი წილი აიღო, ზოგმა ხუთი, ზოგმა სამი, ორ-ორზე ნაკლები კი ალარ. წილი შეადგენს ერთ თუმანს.

ამითი გათავდა საქმე და ყრილობა დაიშალა ნაშუადღევის სამ საათზედ. ძრიელ ძნელი იყო ამ დრომდი და ამ დღეს მათი უსადილოთ დაჭერა.

ა. ქავთელი

ფოთი, 17 თებერვალს. ბუშინ აქ გასინჯეს დიდრონი და წვრილი ზარბაზნების ძალა, რომლებიც აწყვია ახლად აშენებულს ბატარეიებზედ; სროლის წინა დღეს ჩვენს ქალაქში ხმა დავარდა, რომ დიდრონი ზარბაზნები უნდა ხვალ ისროლონო და ბევრი სახლები და ფანჯრები დაუკრავენ თავს თავიანთ პატრონებსაო. საშინელის ხმის მიზეზითაო. ხალხი იქამდინ შეშინდა, რომ მანდილოსნები სახლში ალარ დადგნენ: ქუჩებში დადიოდნენ სროლის დროს.

ბუშინ და დღეს მართლაც იყო იმისთანა ხმა, რომელიც ჯერ ფოთს არ გაუგონია; ხოლო როგორც ხმა იყო, მადლობა ღმერთსა, ისე ზარალი არა მომხდარა-რა.

წუხელის ერთს აქაურს ვაჭრის ს.-ძ—ს ტრაქტირში დაჩეხეს ერთი მეფაეტონე; ისე მძიმედ არის დაჭრილი, რომ მორჩენა საეჭვო. როგორც ამბობენ, პურის ჭამად მსხდარან ის მეფაეტონე და ერთიც ქუთაისელი; მეფაეტონეს ცოლი შეუგინებია; ქუთაისელს ამოუღია ხანჯალი და ზედი-ზედ ოთხჯერ დაუკრავს. ბასაკვირველი ეს არის, რომ აქ იმ დროს ათამდე კაცი ყოფილან და ხელიდან ვერ გაუგდებინებიათ ხანჯალი.

მადლობა ღმერთსა, გამოგვიდარა და გაცხარებით მუშაობენ ჩვენი ქუჩების გასაკეთებელად.

ე. ბ.

მწერლობა

„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი,“ რომანი ლავრ. არდაზიანისა („**ცისკარი**“ 1861 წ., № 1 და 2). *)

(დასასრული)

IV

მეჯღანუა-შვილი იწყობს ახალ ცხოვრებას და ცოდილობს საპატივცემო ადგილი დაიჭიროს საზოგადოებაში. სოლომონ ისაკიჩ ირთვება, მშვენიერ სახლებს ყიდულობს, თავის ცოლს და ქალს უმშლის ვაჭრობას და ხდის იმათ ქალბატონებათ; ვაჟისთვისაც ქრთამებით კარგ ადგილს შოულობს სამსახურში. ერთის სიტყვით, სოლომონ ისაკიჩ თავის ოჯახით ბატონდება.

სულ კი გააბედნიერა მეჯღანუაშვილი ფულმა; ფულმა მისცა იმას საშუალება ემტროო თავის დედის გამლანძღელისთვის, სარქისბეგა-შვილისათვის; ფულმა დასვა კინტო სოლომონი სამეფო ლოჟის გვერდზე თეატრში; ფულმა გააცნო ეს თავადებთან; ფულმა გახადა მეჯღანუაშვილის უსწავლელი შვილი დიდ ჩინოვნიკათ. ოო, ფულს ბევრი რამ შეუძლიან! აი, მაგალითად, მეჯღანუა-შვილი რას გვიამბებს:

„მოვერთე გემოვნებით და მდიდრათ, და გავექონე დროშკით (დროშკა მაშინ იშვიათი და ძვირი იყო) სიონის ქუჩისკენ. დროშკა დადგა მელიქიანთ ქარვასლის წინ. ქარებთან მიმელოდა მრავალი ხალხი, რომელსაც სურდა ჩემი (ე. ი. უცნობ მდიდარი კაცის) დანახვა. როდესაც გადავხტი დროშკიდამ, მე შემომესმა შემდგომი სიტყვები: „რა ახალგაზდაა! რა ჭკვიანია! საბეზედ ეტყობა რაც არის!“ გულში გამეცინა, წარმოვიდგინე იმათი დაბრმავება, რომ ვერ იცნეს ჩემში კინტუა სოლომანი!“

ხედავ, მკითხველო, ხალხი როგორ მიიღებს მდიდარ კინტუას! გეგონებათ, ნახეს გაკვირვების და თაყვანისცემის ღირსი გმირი! ამას იქით როგორ არ შეუყვარდეთ ფულები მეჯღანუა-შვილებს! მაგრამ ამ უკანასკნელების სამწუხაროთ ფული ყოველად გამაბედნიერებელი არ ყოფილა:

აგერ მეჯღანუაშვილის ქალმა თამარმა ერთის დანახვით შეიყვარა თავადი ალექსანდრე რაინდიძე (სოლომანის გამაბედნიერებელ მებატონის შვილი), ახალგაზდა კაცი, ახლად კურს-შესრულებული პრავოვედების სასწავლებელში. მეჯღანუაშვილი უგზავნის რაინდიძეს მაჭანკალს და უნდა ორიევს დაბრმავება ფულით. მაგრამ ფული ვერაფერს ვერა შერება და რაინდიძე ირთავს თამარის მაგიერ სხვა ქალს, რომელიც იმას, ალექსანდრე რაინდიძეს, დიდიხანია უყვარს. [illegible] მეჯღანუაშვილის ქალი ჭლექდება და კვდება, თუმცა იმას მამა ანუგეშებდა, სხვა უკეთეს თავად-საქრმოს გიშოვნიო.

აქ პირველად, იქნება, გაიგო სოლომონ ისაკიჩმა, რომ ყოველგვარ ბედნიერების ყიდვა შეუძლებელია, რომ ქვეყანაზე არის საგანი, რომელიც არ იყიდება—საქონელი არ არის. მაგრამ მგონია ამაზე ადრეც დარწმუნდა სოლომონი ამ სამწუხარო ჰეშმარიტებაში, რადგანაც ეს მილლიონერი ჰგრძნობს, რომ „იმის გულს ჰქვეშნის რალაცა განუსაზღვრებელი ჰმუნვა და აღარ ესიამოვნება რა ქვეყანაზე“ მას აქეთ, რაც დაიწყო მან დიდებით ცხოვრება. ამასთანავე გვიხსნის სოლომონი:

„ამ ჰმუნვის მიზეზი იყო ჩემში; ჩემს გარეთ არა ყოფილა.“ თქვენ, მკითხველო, აქ იქნება გეგონოთ, რომ ამ საცოდავს სვინიდისი აწუხებს?

ეს ძნელი დასაჯერებელია, ამაზე გადაკვრით მაინც იტყოდა მეჯღანუაშვილი. ეს უკანასკნელი ღვთისმოყვარე კაცია და, უეჭველია, ბევრი ფული შეუწირავს ეკკლესიისთვის. მეჯღანუაშვილმა მისცა მზითევი და გაათხოვა სამი ქალი სარქისბეგა-შვილისა (თვით მეჯღანუაშვილისგანვე დალარიბებულისა). სოლომონ ისაკიჩი, უეჭველია, ანდერძის დაწერის დროსაც არ დაივიწყებს არც ეკკლესიას, არც შკოლას. ეს ყველა, უეჭველია, დაიმედოვნებს ამ ყველასგან პატივცემულ კაცს, რომ ის საიქიოს ჯოჯოხეთში არ იქნება გასტუმრებული, როგორც დიდად ცოდვილი კაცი. არა, მეჯღანუაშვილები თავის სვინიდისსაც კი ქრთამს აძლევენ და აჩუმებენ. მაშ რა ჰკლავს ბატონ სოლომონს?

სუყველაფერს ამისას გავიგებთ, თუ მოვიგონებთ, რომ მეჯღანუაშვილმა კარგად იცის, რა ადვილია დაუსჯელად ფულის წართმევა, თუ კაცი სვინიდისზე ხელს აიღებს. თითონ ამ ბატონს უცოდნოთ და უდიდ-შრომოთ მოუპოვია ამგვარად ფული და ბევრი დაუქცევია და დაუნელებია ვარიების გამყიდველ სოფლელისაებ მოტყუებული ბევრი ჰყავს მეჯღანუაშვილს, ამ წურბელა ჩარჩს, და შეიძლება იმათში გამოჩნდეს ადვილად შურისმგებელი, რომელმაც ისევე ჩუმად და ადვილად გააკოტროს ეს, როგორც ამან გააკოტრა თავის დედის შემწუხებელი სარქისბეგა-შვილი და სხვა ბევრი. ამ ჩვენ ახსნას ამტკიცებს თვით მეჯღანუა-შვილის აღსარებაც. აი ერთხელ რას ეუბნება სოფიო სოლომონის ცოლი სოლომონს:

„ნებიერობა, სიამოვნება, ტკბილმარი, სანდარი არ გვაკლია; მოსამსახურეები სულ თავს გვევლებიან; სულიერ მამათაგან კურთხევა ხშირად მოგვეცემა ხოლმე, მაგრამ ვერ ვიხეირეთ! აი, მეც მგონია დავსნეულდი; შენც, სოლომონ ისაკიჩ, ვეღარა ხარ უწინდელათ მხიარული... შენაცვალე ღმერთსა! მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მტრებიც გვყვანან... მტერი ბევრს ვნებას მოგვცემს... გამოცხადებულ მტერს ვერც მე ვხედავ; მაგრამ განა არ არიან მტერნი, რომელნიც დაფარულად გვითხრიან ორმოსა?“

„ამ სიტყვაზე მამაგონდა, ამბობს მეჯღანუა-შვილი, ჩემი დაფარული მტერობა, რომლითაც მოვკალ სარქისბეგა-შვილი და მე შევიგენ ეს ბოროტი; ამ ბოროტის სიძაგლისგან გული დამიწყლულდა, შევშფოთდი; მეორეს მხრით ფიქრშიაც შევედი, რომ სამაგიერო არ გადამხდოდა. შიშისაგან კანკალი დამაწყებინა, ცოტას გაწყდა ჭკუი-

---

*) „დროება“,

დამ შვიშალე... უეჭველია, ვიფიქრე მე, რომ მტრობისათვის მტრობა არ გადამხდეს. წარმოვიდგინე თავი ჩემი სარქისბეგა-შვილისაებ გაკოტრებული, დავრდომილი, უმოწყალოთ, ავათმყოფი Ციხის-უბნის ქოხში და ელდამ გამიგმირა გული. „ვაი მე!“ ვთქვი კვნესით.“

Ესეც მეჯლანუა-შვილის ბატონობა!

Ახლა მითხარით, მკითხველო, ღირდა კაცს უთვალავი დატანჯული ხალხი უფრო დაეტანჯა ამგვარ ბედნიერების მოსაპოვებლად?

Გადავალეთ თვალი აქ აღწერილს სიცოცხლეს მეჯლანუა-შვილისას და ასწონეთ რამდენი სიავის და რამდენი კეთილის მომტანი ყოფილა ეს სიცოცხლე? **Ამაზე** შესაძლოა ერთი პახუხი: მეჯლანუა-შვილი მთელ თავის სიცოცხლეს ბეჯითად ცდილა, დატანჯულა კიდეც, იქნება უნებურადაც, სხვისა და თავის ლუკმის გასამწარებლათ, ჩასაშხამებლათ.

ღირდა ამისთვის კაცი დაბადებულიყო?

გ. თ.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი და სერბია

Ფოჩტა ჯერ კიდევ არსადა სჩანს; ამის გამო მოგვყავს რამდენიმე ტელეგრამმა, რომელიც ამ უკანასკნელი ორი დღის განმავალობაში მოუვიდათ „ქავკაზსა“ და „თფილისის მოამბეს“:

პარიჟი, 17 (29) თებ. აქაურ პოლიტიკურ წრეებში ლაპარაკობენ, ვითომც ინგლისს განზრახვა ჰქონდეს, წინადადება მისცეს ევროპის უმთავრესს ექვს სახელმწიფოებს, რომ ვადა დაუნიშნონ ოსმალეთს ახალი რეფორმების შემოღებისათვის სახელმწიფოში.

სტამბოლი, 14, (26) თებ. ოსმალეთსა და სერბიას შუა სრული თანხმობა ჰსუფევს მორიგების პირობების თაობაზედ. აქ დარწმუნებულნი არიან, რომ მორიგების ტრაქტატი ამ ორ სახელმწიფოს შუა ხვალ (15 თებ.) იქნება ორივე მხრისაგან ხელ-მოწერილი და დამტკიცებული.

ბელგრადი. სერბიის სკუპსჩინამ მიიღო მმართებლობისაგან წარდგენილი მორიგების პირობა ოსმალეთთან; ამ პირობაში, სხვათაშორის, შემდეგი მუხლებია: statu quo სერბიისა, სრული პატიება ყველა იმ ქვეშევრდომთა, რომელნიც ოსმალეთის წინააღმდეგ ომობდნენ; 12 დღის განმავალობაში ოსმალეთის ჯარი სერბიიდამ უნდა გამოვიდეს; სერბიამ ახალი ციხეები არ უნდა ააშენოს ოსმალეთის სამზღვარზედ; ოსმალეთის დროშა გამოფენილი უნდა იქნეს ბელგრადის ციტადელში; სრული თანასწორობა ებრაელებისა და სომხებისა; აღკრძალვა საზოგადოებათა, რომელნიც ოსმალეთის საწინააღმდეგოს რასმე განიზრახვენენ.

ჩერნოგორიასთან დროებითი მორიგება კიდევ 20 დღით განაგრძეს.

განცხადებანი

ქალაქის გაგგეოგისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ **იჯარით მიენდობა მაწანწალა ძაღლების დახოცვა** ქალაქს თფილისში. ვისაც ამ იჯარის აღება ჰსურს, დაწერილის ანუ სიტყვიერის განცხადებით უნდა მიმართონ ქალაქის გამგეობაში, სადაც ყოველ დღე დილის 10 საათიდამ ნასადილევის 2 საათამდინ შეიძლება ნახვა კონტრაქტისა, რომლის ძალითაც ეს ხსენებული იჯარა მიეცემა.

(3—1)

LA VELOUTINE
(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის **პუდრი** (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

Ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ფაი — გამოგონი

pommade satin
(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—105

ქავკასიის საბეგიო ინტიტუტის

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე, ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

Ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათყოფობისათვის:

Yოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11 მდინ—დოქტორი **ანანოვი.**

Oთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი **რემერტი.**

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12-მდინ—დოქტორი **ალბანუსი.**

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის.

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი **შაკოვი.**

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: **რემერტის, ალბანუსის** და **ანანოვის.**

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიც ქალები ავათმყოფობას არჩენენ. **Ამ** განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთ უნდა აძლიონ დღეში— 50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.

ა. ა. თაიროვის მონდობილობით, ისყიდება სხვა და სხვა **საშენი ხეები** ფიჭვისა და ვეხვის ტყისა—ერთის, ორის და სამის წლის ნახერხი. მასალა საუკეთესო ღირსებისაა.

ვისაც ამ ხეების შეძენა სურს, შეუძლიან მომართონ ჩემს სადგომში, **არსენალის ქუჩაზე,** სახლის **№ 31.**

რასაც ვინ შემიკვეთს ბეჯითად და დანიშნულ დროს შეუსრულებ.

Ამ ხის მასალის მოტანა ტყეებიდამ ყოველ წელიწადს იქნება მარტის 20-დამ ვიდრე ნოემბრის 1-მდინ. 200 ხეზე ნაკლები ზაკაზი არ მიიღება.

გუჯუიევი

(3—3)

წლიური ანგარიში.

ივრის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა

1876 წლისა 5 აპრილიდგან 1-ს იანვრამდინ 1877 წელსა, შემოწმებული და დამტკიცებული საზოგადო ყრილობისაგან 1877 წელ 3 იანვრისა.

	მან.	კაპ.
ამხანაგების დაფუძნების დროს — — იყო:	—	—
49 წევრისა — — — — —	979	„
1-ს იანვრისთვის 1877 წელსა შესდგა:		
წილის ფული 92 წევრისა	1,571	„
სარგებელი წინეთ დაჭრილი	151	97
დაბრუნებული ნასესხი —	241	90
ნასესხი თფილისის ნდობის საურთიერთო ბან. — —	500	„
სხვა და სხვა შემოსავალი —	3	5
ჯარიმა — — — — — — —	„	83
ჯამი—	2,968	75

	მან.	კაპ.
გასავალი:		
გასესხებული — — —	2,063	90
ახალი ვადა-მიცემული —	106	60
თფილისის საურთიერთო ნდობის ბანკში კრედ. გასახსნელად — — — —	100	„
სამართველოს ხარჯი —	105	31
სარგებელი გადახდილი ნასესხისა — — — —	22	38
ქასაში არის — — — —	70	56
ჯამი—	2,468	57

1-ს იანვარს 1877 წელსა არის:

შემოსავალი:	მან.	კაპ.
წილის ფული 92 წევრისა	1,571	„
ნასესხი — — — — —	500	„
წმინდა მოგება — — —	25	29
სათადარიგო თანხა — —	2	87
ჯამი—	2,099	16

გასავალი:	მან.	კაპ.
გასესხებული — — —	1,928	60
კრედ. გასასხნელი საწევრო	100	„
ქასაში არის — — — —	70	56
ჯამი—	2,099	16

თავმჯდომარე	საფრ. ჰაბადარი	წევრნი მმართველობისა:	ა. ცხვედაძე
წევრნი რჩევისა:	მღ. აბ. ნახუცაროვი		მღ. თ. ბულისოვი
	გრ. ბილანოვი		
	ხ ბოლერძოვი		
	ლ. ნახუცაროვი		იაგ. აძლამაზოვი

(3—3)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა . .	—	—	—	—	-	68	-	38
ბორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ჟუთაისი .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი . .	11	44			9	75	5	42
ფოთი . .	8	40						
ახ.-სენაკი .	—	—			1	18	-	66
სამტრედია .	—	—			2	6	1	14
ჟუთაისი .	11	51			3	4	1	69
ყვირილა .	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა .	—	—			9	8	5	4
თფილისი .	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) **ფოთიდამ მიდის:**

ოდესისკენ—ხუთშაბათს დილით.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) **ოდესსიდამ:**

ფოთისკენ—ხუთშაბ., ნასად. 3 საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ჟუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, ღუშეთს, სილნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, შარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოშტა

ა) **თფილისიდამ:**

სამზღვარ გარეთ, ჟუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდიდს, ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) **ჟუთაისიდამ:**

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) **ბორიდამ.**

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) **ფოთიდამ:**

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:

	კაპ
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ.
პეტერბურგი, 14 თებერ.		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში $3^1/_2$ პენსი.	—	84
პარიჟში $313^1/_2$ სანტიმი.	—	89
მსკონტი (სარგებლისფასი)	$7^1/_2$	—
ბანკის ბილეთი 5%	95	25
მოგებიანი (პირველისესხი)	190	—
მოგებიანი (მეორე ხესხი)	190	50
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზღ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	82	75
მოსკოვის (5%). . . .	81	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	250	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	497	—
ქავკაზის და მერკურის. .	206	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	727	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	269	—

მაზანდა

თფილისი, 22 თებერ.

პური შორაგალის ფთ.	1	20
ქერი ფუთი. . . .	—	87
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	60
— ამერიკისა, ფუთი. .	6	20
ბაპენტილი ბამბა ფთ.	7	—
მატყლი თუშური ფთ .	6	70
— მარაქამისა ფთ. .	4	—
აბრეშუმი ნუხური სტ.	3	—
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	—
სტეარინის სანთელი, ფ.	11	60
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	65
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	72
სპირტი, ვედრო. . .	8	—
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	10
— ფხვნილი ფუთი . .	5	40
უვა გრგვალი, ფუთი .	20	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	5	30
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	7	—

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Февраля 1877 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.